პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 თებერვალი, კვირა, 1987 წ.
№ 27 (9488) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის მონაგარი

სპორტული სეზონის სტარტზე

ვიდრე ახალი წლის პირველი თვის სპორტულ შედეგებზე ვისაუბრებდეთ, 29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლეში გამართული დიდი სპორტული ზეიმი გავიხსენოთ. სპორტის, ახალგაზრდობის ეს დღესასწაული დიდხანს ემახსოვრებათ მის მონაწილეებს, სპორტის გულშემატკივრებს. ამ დღეს პატივი მიაგეს მათ, ვინც შარშან დიდ საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ასახელა რესპუბლიკა, ვინც თვალსაჩინო გამარჯვებებით გაგვახარა. იმ დღეს ერთგვარად შეჯამდა გასული სპორტული სეზონის შედეგები და სიმბოლური ესტაფეტა ახალმა წელმა ჩაიბარა.

...და აი, დასრულდა იანვრის სპორტული შეჯიბრებებიც, ცნობილი გახდა ახალი წლის პირველ ლაურეატთა სახელები. საკავშირო ასპარეზობებში, ძირითადად იუნიორთა ტურნირებში, ჩვენი რესპუბლიკის ათზე მეტმა სპორტსმენმა ისახელა თავი.

მოჭადრაკე გოგონათა ყოველი ახალი წარმატება, იმათი გამარჯვება, ვინც უნდა გააგრძელოს საქართველოს მოჭადრაკე ქალთა სასახელო ტრადიციები, განსაკუთრებით გვახარებს.



...ჩელიაბინსკი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გოგონათა შორის. 16 იანვარს რედაქციაში ცნობა მოვიდა: „უმცროს ასაკში ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა 13 წლის ქუთაისელმა მოჭადრაკემ სოფიკო ნიკოლაძემ“. ამ შეჯიბრებაში 44 გოგონა მონაწილეობდა, რომელთა შორის ყველაზე უმცროსი სწორედ ნიკოლაძე იყო. მან საერთო ჯამში მეორე შედეგი აჩვენა, თავის ასაკში კი ყველა მეტოქეს გაუსწრო. ამ გამარჯვებით სოფიკომ გოგონათა შორის მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირის საგზური დაისაკუთრა. ზონალურ ტურნირში მასთან ერთად გამოვა თბილისელი ნათია ჯანჯღავა, რომელმაც ჩელიაბინსკში II-III ადგილები გაიყო.

საქართველოს ბადმინტონისტებს იშვიათად ვხედავთ საკავშირო შეჯიბრებებში გამარჯვებულებს შორის. და აი, კაუნასში გამართულ იუნიორთა საკავშირო პირველობაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტმა ინგა ბერიძემ. მან ოქროს მედალი მიიღო ერთეულთა თანრიგში, შემდეგ გაიმარჯვა გუნდთან ერთად, შერეულ და წყვილთა თანრიგში კი მეორე ადგილები დაიკავა. უფრო ადრე ქუთაისში მოეწყო 1970-72 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა საკავშირო ტურნირი. გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ელისო მარგველაშვილმა, რომელმაც ფინალში უმცროს დას — თამრიკოს მოუგო. უმცროსი ასაკის გოგონებში გაიმარჯვა ბათუმელმა ირინე ლალანიძემ, მისი თანაგუნდელი ალექსანდრე მესხიშვილი ...

სი ასაკის გოგონებში გაიმარჯვა ბათუმელმა ირინე ლალანიძემ, მისი თანაგუნდელი ალექსანდრე მესტახედინოვი კი ჭაბუკთა ტურნირში აღმოჩნდა უძლიერესი.

იხ. მე-2 გვ.

გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მორიგი შეხვედრები: ცსკა — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 83:80 (49:29, 78:78); „შახტიორი“ (დონეცკი) — ვეფ (რიგა) 98:84 (45:31); „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 79:84 (49:45).

დღეს მეხუთე

„ჟალგირისი“ (კაუნასი) — „შახტიორი“ (დონეცკი). უმაღლესი ლიგის დებიუტანტმა ჩვენი კალათბურთის ლიდერს ორიდან ერთი შეხვედრა მოუგო. კაუნასელთა მწვრთნელმა ვ. გარასტასმა ეს მარცხი მეტოქის ძალების შეუფასებლობით ახსნა.

„სპარტაკი“ (ლენინგრადი)— ვეფ (რიგა). ამ გუნდების ორივე შეხვედრა რიგაში გაიმართა. ნევისპირელებმა ორივე მატჩი მოიგეს.

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა. საბჭოთა კავშირის ორი პოპულარული კლუბის ურთიერთშეხვედრათა ანგარიში არმიელთა სასარგებლოდაა. მათ 69 შეხვედრაში გაიმარჯვეს და მხოლოდ 22-ჯერ დათმეს ბრძოლა. ბოლო წარმატებას თბილისის დინამოელებმა 1983 წლის 27 სექტემბერს მიაღწიეს.



გუშინ თბილისის ცირკში კვლავ შეიკრიბნენ ქართული ჭიდაობის მოყვარულები. გაიმართა სოფლებისა და ქალაქების უბნების გუნდების მორიგი შეხვედრები. გაგაცნობთ შედეგებს: ციხისუბანი (გორი) — საფიჩხია (ქუთაისი) — 7:2, ქისტაური (ახმეტა) — ორთაჭალა (თბილისი) — 9:0, სვედურეთი (ქარელი) — მარტყოფი (გარდაბანი) — 5:4.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ძმა ძმისთვის...

მათი წვლილი

● ქუთაისის ყველა სპორტული ორგანიზაციის, სპორტკომიტეტის, საჭადრაკო კლუბ „მაიას“, ცენტრალური სტადიონის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, სპორტსაზოგადოებების „განთიადის“, „სპარტაკის“, „დინამოს“, „კოლმეურნის“ და „ლოკომოტივის“ საქალაქო საბჭოების თანამშრომლებმა გადაწყვიტეს სამი დღის ხელფასი გადარიცხონ წყალდიდობით დაზარალებული რაიონების დახმარების ფონდში.

ქალაქის სპორტკომიტეტის ინიციატივით შეიქმნა ალპინისტთა მაშველი ჯგუფი, რომელიც მზად არის დახმარების ხელი გაუწოდოს გაჭირვებაში ჩავარდნილთ.

თამაზ ხარაბაძე,
„ლელოს“ საკ. კორ.
ქუთაისი.

● ...„სალხს ისევ ახალგაზრდა კაცი გამოეყო; — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატი იგორ ნარმანია... იმ დღეს იგორმა ყველაზე მეტი ხალხი გაიყვანა ნაპირზე. ამათგან სულ ბოლო მისი მეუღლე იყო“.

„ახალგაზრდა კომუნისტი“
7 თებერვალი.

● თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საფეხბურთო სკოლის „ავაზას“ კოლექტივმა გადაწყვიტა ორი დღის ხელფასი შეიტანოს სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებულთა ფონდში.

მიხეილ მესხი,
სკოლის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

● სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდის წევრებმა 250 მანეთი შეაგროვეს დახმარების ფონდში შესატანად. პირადად მე 100 მანეთი შევიტანე.

რუსუდან სიხარულიძე,
ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

● თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს საწყლოსნო სახეობების სპორტული სკოლის მწვრთნელებმა 605 მანეთი გადარიცხეს № 700 ანგარიშზე.

ირაკლი მოდრეკილაძე,
სკოლის დირექტორი.

● გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში, ჩემს სახლს ვუთმობ, სანამ საჭირო იქნება, სტიქიისაგან უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახს.

ბიჟო ბაბიტაშვილი,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.
თბილისი.

მინიფეხბურთი სპორტის სასახლეში

10-15 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყება მეტად საინტერესო საკავშირო შეჯიბრება მინიფეხბურთში. გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მოსკოვის, კიევის, ბაქოს, რიგის, ერევნის, თბილისისა და ბათუმის გუნდები. ფეხბურთის მოყვარულები რამდენიმე დღის განმავლობაში ნახავენ მეტად საინტერესო მატჩებს.

ტურნირი გაიხსნება 10 თებერვალს 17 საათზე, იმავე დღეს კი შეჯიბრებები დაიწყება 14 საათიდან. ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართება 14 თებერვალს 16 საათიდან, დასკვნითი თამაშები შედგება 15 თებერვალს 16 საათიდან.

თბილისის სპორტის სასახლე გიწვევთ მინიფეხბურთის ამ მეტად საინტერესო შეჯიბრებაზე.

დღეს ნომერშია:

● ანგარიშს აბარებს სპორტული იანვარი. (იხ. 1-2 გვ.).

● ექიმის საჭადრაკო გატაცება (იხ. მე-2 გვ.).

● ნდობა გამოუცხადეს (იხ. მე-3 გვ.).

● საუკუნის პროცესი რიო-დე-ჟანეიროში (იხ. მე-4 გვ.).

● კარლ ლუისი: მხოლოდ სპრინტი (იხ. მე-4 გვ.).





თბილისში, ჟდანოვსა და ყაზანში

განახლდა I ლიგის წყალბურთელთა საკავშირო პირველობის პირველი წრის მატჩები.

როგორც ვიუწყებოდით, პირველი წრის პირველ ტურში თბილისის არმიელთა კლუბმა, დებიუტანტის კვალობაზე, კარგად ითამაშა და 16 გუნდში ჯერჯერობით VI-X ადგილებს იყოფს.

იხ. მე-3 გვ.

გულშემატკივრის კუთხე

ჭადრაკის ტრფიალს რომ იტყვიან...

ზურაბ ჩაჩუა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია, დოცენტი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაექიმო-შრომითი ექსპერტიზის კურსის ხელმძღვანელი. ცხადია, უამრავი საქმე აქვს, მაგრამ მთელ თავისუფალ დროს ჭადრაკს უთმობს. თამაში არც გუშინ დაუწყია. და არც გუშინწინ. წელს 60 წლისა გახდება, მაგრამ რაც თავი ახსოვს, ჭადრაკი უყვარს, მისთ. ცხოვრობს — თამაშობს, სჯის, გულშემატკივრობს...

— 1941 წლის 2 მაისს გაიხსნა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. მუშაობა დაიწყო მისმა საჭადრაკო კაბინეტმა. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს კაბინეტი მსოფლიო სახელს მოიხვეჭდა, მას წიგნები მიეძღვნებოდა, — იგონებს ზურაბ ჩაჩავა, — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ კაბინეტმა ორი მსოფლიო ჩემპიონი აღზარდა!..

გახსნის დღიდანვე საჭადრაკო წრეში ჩავეწერეთ ტიგრან პეტროსიანი, მომავალი ოსტატი ალექსანდრე ბუსლაევი, ჭამოჩენილი მეცნიერი, ფიზიკოსი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვიქტორ ბრავინსკი (დღეს იგი უკრაინაში მოღვაწეობს), ცნობილი ჟურნალისტი მელორ სტურუა, მე... გვამეცადინებდნენ ნიკოლოზ სოროკინი, ალექსანდრე ბლაგიძე, ძირითადად კი ჩვენი ხელმძღვანელი ცნობილი ოსტატი არჩილ ებრალიძე გახლდათ, მეტად კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარდა.

● მკითხველისთვის უთუოდ საინტერესოა თუ როგორი იყო მაშინ მეცადინეობის მეთოდიკა...

— ებრალიძე გვამეცადინებდა ლასკერის, კაპაბლანკასა და ეიგეს იმ დროისთვის მეტად მიღებული და პოპულარული სახელმძღვანელოებით, რომლებიც შემდეგ მანვე თარგმნა და გამოსცა. ეს წიგნები, რომლებიც დღესაც შეუცვლელია, სამწუხაროდ, კარგა ხანია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და ვფიქრობ, დადგა დრო, მათ ხელახლა გამოცემაზე ვიზრუნოთ.

გარდა იმისა, რომ თეორიაში ვმეცადინეობდით, ბევრს ვთამაშობდით. ებრალიძემ მე და მელორ სტურუას მატჩი მოგვწყო, ჩვენი ბრძოლა საყაიმო ანგარიშით — 2,5:2,5 დამთავრდა. შემდეგ ხუთივე პარტია დაწვრილებით გაარჩია და შეცდომებზე მიგვითითა. სხვათა შორის, მას შემდეგ ყველა ჩემს პარტიას ვიწერ და ახლა მათი ხელახალი გათამაშება დიდ სიამოვნებას მგვრის.

ძალიან ხშირად ეწყობოდა ერთდროული თამაშის სეანსები. გვეთამაშებოდნენ - ებრალიძე, სოროკინი, ბლაგიძე, შიშოვი და ყველა ის ოსტატი, ვინც თბილისში ჩამოდიოდა ხოლმე. ამ სეანსებიდან ზოგი დამამახსოვრდა კიდეც: მოვუგე სალო ფლორს, ანდრე ლილიენტალს, ვლადას მიკენასს...

ასე იზრდებოდნენ ჩვენი თაობის მოჭადრაკეები. გავხდით მესამე, მეორე, პირველთანრიგოსნებიც.

ომის წლებში, იმ საშინელი გაჭირვების ჟამს, თბილისის ბუკინისტურ მაღაზიებში ბევრი ძვირფასი საჭადრაკო წიგნი იყიდებოდა. ტიგრან პეტროსიანს ვიღაცამ ცოტაოდენი ფული მისცა, რომელიც მან მეტად მიზანდასახულად გამოიყენა. იყიდა ერთ საჭადრაკო წიგნს, საფუძვლიანად დაამუშავება და ისევ... ბუკინისტებს აბარებდა. აღებული ფულით ახალ წიგნს ყიდულობდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. ორ წელიწადში უამრავი წიგნი წაიკითხა. ყველა ჩვენგანს ოლად უგებდა. 1943 წელს ცათხოვე ლევენფიშის წიგნი „თანამედროვე დებიუტი“, რომელიც 30 წლის შემდეგ დამბრუნა. სიცოცხლის ბოლო წლებში პეტროსიანი მეუბნებოდა, ჩემი ყველა საჭადრაკო პარტია უნდა მოვაგროვო და გამოვცეო. ჩემს არქივში აღმოჩნდა პეტროსიანთან ნათამაშევი სამი პარტია, რომელთაგან ორი წავაგე და ერთი მოვიგე. ამ პარტიების ჩანაწერები მსოფლიოს ექსჩემპიონს გადავეცი.



● თითქმის ორმოცდაათი წელია, რაც საჭადრაკო ლიტერატურას აგროვებთ.. რომელი წიგნები გიყვართ ყველაზე მეტად?

— ნიმცოვიჩის „ჩემი სისტემა“. ამ ბოლო წლებში გამოცემულთაგან კი ლეონიდ შტეინის პარტიების კრებული. ეს წიგნი ბევრჯერ მაქვს წაკითხული, დღე ისე არ გავა, რომ არ გადავთვალიერო.

● ახლახან თქვენ თბილისის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ აგირჩიეს. რის გაკეთებას აპირებთ?

— ჭადრაკში დიდი მიღწევები გვაქვს, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. **თბილისის პირველობას ავტორიტეტი უნდა აღვუდგინოთ.** თავის დროზე იგი დიდ ინტერესს იწვევდა და ბევრ მაყურებელსაც იზიდავდა. ახლა დედაქალაქის ჩემპიონატზე სუსტი შემადგენლობა იკრიბება, თამაშებს არავინ ესწრება, პრესაც დუმილს ამჯობინებს.

ამაზე ბევრჯერ თქმულა, ამატომ, ეტყობა, მკაცრი ღონისძიების მიღება დაგვჭირდება. **ვინც თბილისის პირველობაზე არ ითამაშებს, საქართველოს ჩემპიონატში არ უნდა დავუშვათ.** საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებზე აღარაფერს ვიტყვი. საქართველოს ჩემპიონატმა რესპუბლიკის უკლებლივ ყველა წამყვან მოჭადრაკეს უნდა მოუყაროს თავი, ეს შეჯიბრება ნამდვილ ზეიმად უნდა იქცეს.

არც ის იქნება ურიგო, თუ, როგორც ადრე ხდებოდა, საქართველოს ჩემპიონატში კონკურსგარეშე მონაწილეობის მისაღებად გამოჩენილ დიდოსტატებს და ოსტატებს მოვიწვევთ. ხომ თამაშობდნენ ჩვენთან ადრე ვლადიმერ მაკოგონოვი, ვლადას მიკენასი, ჰენრიხ კასპარიანი, ევგენი ზაგორიანსკი, რატმირ ხოლმოვი, ევგენი ვასიუკოვი, თვით ლეგენდარული პაულ კერესიც კი...

ერთი რამ ძალიან მაფიქრებს. საჭადრაკო შუშაობა ძირითადად ჭადრაკის სასახლეში უნდა გაშალოს, სადაც დღეს საამისო პირობები არ არის. **თბილისის საჭადრაკო ფედერაციას ჭადრაკის სახახლეში ერთი მაგიდა არ უნდა ჰქონდეს და ერთი კარადა წიგნებისა და საბუთების შესანახად? აქვე უნდა იყოს მსოფლიო ჩემპიონის კაბინეტი, დიდოსტატების ოთახი და ასე შემდეგ...** ერთი სიტყვით, ჭადრაკის სასახლეს მიხედვა ჭირდება.

ჩვენთან საჭადრაკო ცხოვრება, როგორც იტყვიან, უნდა დუღდეს და გადმოდუღდეს, სინამდვილეში კი რა ხდება? გოგლიძის მემორიალი არარეგულარულად, ხანგრძლივი პაუზებით იმართება. ამ საერთაშორისო ტურნირს მეტი-ავტორიტეტი ექნებოდა, ყოველწლიურად, ზუსტად დანშნულ დროს, რომ იმართებოდეს. შარშან ისე მოხდა, რომ იგი საერთაშორისო ოლიმპიადებს დაემთხვა.

მაია ჩიბურდანიძე და ნონა გაფრინდაშვილი წარმატებით თამაშობენ ვაეებთან. რატომ არ ვიწვევთ მათ გოგლიძის მემორიალში?

ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირები პირველ რიგში საქართველოში უნდა იმართებოდეს. კარგია, რომ ასეთი ტურნირის გამართვა ტრადიციად დავამკვიდრეთ და უკვე ორი საერთაშორისო შეჯიბრება გავმართეთ. ამიერიდან მსგავსი ტურნირი ყოველწლიურად, პაუზის გარეშე უნდა მოვაწყოთ. გზა უნდა მივცეთ ახალგაზრდობას. ჩვენ შესანიშნავი დიდოსტატები გვყავს, მაგრამ უნდა ვიზრუნოთ ნორჩი მოჭადრაკეების აღზრდაზეც. ჩვენი იმედია ქეთინო კახიანი, სოფიკო ტერელაძე, სოფიკო ნიკოლაძე...

● ჭადრაკს მხოლოდ დიდოსტატები და ოსტატები ხომ არ თამაშობენ...

— დიახ, გულშემატკივარიც მზრუნველობას საჭიროებს... ჭადრაკის მოყვარულს უჭირს ითამაშოს ხუთი, ანდა, როგორც ახლა წესად იქცა, ექვსსაათიანი რეგლამენტით. ჩვენ, მედიკოსებს, გვყავს ასეთი მოყვარულები: პროფესორი ლადო აბაშიძე, მორფოლოგი გოგი კაკოშვილი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ქირურგიის კათედრის პროფესორი რევაზ სიგუა, ამავე ინსტიტუტის ნევროლოგიის კათედრის დოცენტი. ვფიქრობ, მათთვის ზედგამოჭრილია ეგრეთ წოდებული „ჩქარი ჭადრაკი“, რომელსაც დიდ ყურადღებას უთმობენ ტალინში, რიგაში. ხუთი საათის ნაცვლად მოსაფიქრებლად ერთი საათი გეძლევა, ზოგჯერ ორი. ჩვენთვის ასეთი ტურნირები ბევრად უფრო მოსახერხებელია.

ერთი სიტყვით, გასაკეთებელი ბევრზე ბევრია...

ეხაუბრა გივი გამრეკელი.



თვის მონაგარი

სპორტული სეზონის სტარტზე

(დასასრული)

სპორტული სეზონის სტარტზე პირველი გამარჯვებები მოიპოვეს ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმაც, რომლებმაც ჭაბუკთა საკავშირო პირველობიდან ერთი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანეს. უმჩატეს წონაში საუკეთესო იყო სამტრედიელი **დავით ბელთაძე.** მან ყველა მეტოქე დიდი უპირატესობით დაამარცხა და ქვეყნის ჭაბუკთა გუნდში დაიმკვიდრა ადგილი. ვერცხლის მედლები მიიღეს **გიორგი ივანიშვილმა** და **აკაკი გაგედავამ,** ბრინჯაოს ჯილდო — **გოჩა მაკოევმა, გიორგი ხინჩიკაშვილმა** და **მერაბ ვალიევმა.**



ძლეოსანთა სტარტებიც გავიხსენოთ. იანვრის დასაწყისში ლენინგრადში გაიმართა 1970-71 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ მძლეოსანთა საკავშირო პირველობა. შეჯიბრება ახალი დებულებით ჩატარდა — თითოეული მონაწილე სამჭიდის პროგრამით გამოდიოდა. კარგი მომზადება გამოავლინა ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტული სკოლის მოსწავლემ **ვასილ მახარაძემ,** რომელმაც ყველა თანატოლი ჩამოიტოვა და პირველი ადგილი დაიკავა. მახარაძე მოზრდილთა საკავშირო ნაკრების სარეზერვო გუნდში ჩაირიცხა.

სიმფეროპოლში ჩატარდა საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური შეჯიბრება, რომელშიც ჩვენი რესპუბლიკის 8 მძლეოსანი მონაწილეობდა. ფინალური ტურნირის საგზურები მოიპოვეს ხოხუმელმა **ტარიელ გიწაძემ,** თბილისელებმა **ვიაჩესლავ ვასილევმა** და **ევგენი პერშინმა,** თელაველმა **მურად მაზიხიმ-ოღლიმ.**





ლვოვში, ჭაბუკ ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატზე 4 კილომეტრზე წყვილთა რბოლაში ყველას აჯობეს თბილისელებმა **ვასილ დავიდენკომ** და **მიხეილ ჩევარდოვმა.** გამარჯვებულებმა დისტანციის გავლას 4.48,5 წუთი მოანდომეს.



წინა ორ საკავშირო ჩემპიონატთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესეს შედეგები საქართველოს კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა. ომსკში გამართულ 56-ე საკავშირო ჩემპიონატზე ვერცხლის მედლები დაიხაკუთრეს **თენგიზ თედორაძემ** (90 კგ) და **გურამ გედეხაურმა** (100 კგ), **ზაურ ივანაშვილი** (90 კგ) მესამე ადგილზე გავიდა. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს მოჭიდავეები მეხუთე ადგილზე გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ შარშან მხოლოდ ერთი პრიზიორი გვყავდა, საერთო ჩათვლაში კი მეექვსე ადგილზე ვიყავით.

„უძნელესი სეზონი გველის“

ჩვენი გაზეთის 1987 წლის 5 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ინტერვიუ ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელთან ალექსანდრე კოტრიკაძესთან — „უძნელესი სეზონი გველის“. სხვა პრობლემებს შორის წერილში იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ ლანჩხუთელ ფეხბურთელთა კოლექტივს არა ჰყავს კვალიფიციური ექიმი.

პრობლემა, მართლაც, მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნულ პუბლიკაციაზე მივიღეთ ოპერატიული წერილი, რომელსაც ხელს აწერს საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის მთავარი ექიმი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი სამკურნალო ფიზკულტურასა და სპორტულ მედიცინაში **კარლო არობელიძე:**

„გაცნობებთ, რომ ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა გუნდის სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გაატარა შემდეგი ღონისძიებები:

სამინისტროს ბრძანებით გათვალისწინებულია გრიგოლეთის სპორტულ კომპლექსში გაიხსნას სამედიცინო-ბიოლოგიური ცენტრი შემდეგი საშტატო ერთეულებით: საექიმო კონტროლის ექიმი (1 საშტატო ერთეული), ქირურგი-ტრავმატოლოგი (1), მასაჟისტი (1), ფიზიოთერაპიის მედდა (2), სარეაბილიტაციო კაბინეტის მედდა (1), სანიტარი (2).

ამ სიაში არ შედის გუნდის ექიმისა და მასაჟისტის საშტატო ერთეულები.

გუნდის ექიმად მუშაობის სურვილი გამოთქვა საექიმო ფიზკულტურის რესპუბლიკური დისპანსერის ექიმმა-ტრავმატოლოგმა დ. ზაალიშვილმა. მან დაამთავრა ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი სპორტული მედიცინის პროფილით, გაიარა ინტერნატურა სპორტულ ტრავმატოლოგიაში, 1986 წელს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში აკადემიკოს ო. ღუდუშაურის კათედრაზე დახელოვნდა ორთოპედიასა და ტრავმატოლოგიაში. მას დამთავრებული აქვს საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტიც. სამედიცინო ცენტრისთვის შერჩეულია დისპანსერის ექიმი ლ. ლაბარტყავა, 1986 წლის 2 თებერვლიდან დისპანსერში გამოგზავნილი ფერშალი ლ. ხოჭოლავა ეუფლება მასაჟის ტექნიკას.

„საქმედტექნიკამ“ გრიგოლეთის სამედიცინო ცენტრისთვის გამოჰყო საჭირო სამედიცინო აპარატურა, ხოლო სააფთიაქო სამმართველომ — მედიკამენტები და შესახვევი მასალა“.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს



ბოლო ... **ბ**ოლო

რუსთავში ხშირად ეწყობა შეჯიბრებები მინიფეხბურთში. ახლახან ორი ასეთი ასპარეზობა გაიმართა. რუსთავის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის შიერ დაწესებული თასის მოსაპოვებლად 16 გუნდი იბრძოდა. ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ სპორტკლუბ „ფოლადისა“ და ამ სპორტკლუბთან არსებული გამაჯანსაღებელი გუნდები. დიდი ანგარიშით გაიმარჯვა სპორტკლუბ „ფოლადის“ გუნდმა — 8:3.

ზურაბ ჩაჩავა.

რუსთავი.

საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატი

ლიდერი

თვე არ გაივლის, რაიმე სასიხარულო რომ არ გავიგოთ ნინო სალუქვაძის შესახებ. ნიჭიერ ახალგაზრდებს რა გამოგვილევს, მაგრამ ნინო, მაღალი შედეგების გარდა, იშვიათი სტაბილურობითაც გამოირჩევა, რითაც, რა თასამალია და, ბევრ მის თანატოლს როდი შეუძლია თავი მოიწონოს.

ახალგაზრდა სპორტსმენის არასტაბილური გამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ყოყოჩობაა, რამდენიმე გამარჯვების და შექების შემდეგ რომ დარევს ხელს ფსიქიკაგაუმაგრებელ ნორჩს. ნინოსთვის კი წარმატებებს არასდროს დაუხვევია თავბრუ, პირიქით, რაც დრო გადის, უფრო ბეჯითდება, უფრო ზუსტად მიდის მისი ნასროლი ტყვია.

ნინო სალუქვაძეს ჩვენს ტყვიის მსროლელთა გუნდის ლიდერს უწოდებენ. IX საკავშირო სპარტაკიადაზეც მისი იმედი ჰქონდათ. სპორტში ლიდერი წინამძღოლიც შეიძლება იყოს და ის ადამიანიც, რომელიც ჩუმად, მაგრამ ერთგულად და სხვებზე უკეთესად აკეთებს საერთო საქმეს, გუნდის საქმეს. ნინო სალუქვაძის ნაკრებში ყველაზე უმცროსი იყო და მისი ლიდერად აღიარება იქნებ უცნაურიც კი ჩანდა. მაგრამ ფაქტს ვერ გავექცევით, ჩვენი გუნდის მიერ მოპოვებული ქულათა მარაგიდან თითქმის ნახევარი ნინო სალუქვაძის წილად მოდის.

არადა მოსკოვში მსროლელთა შეჯიბრება ქართან და სიცივესთან შეჯიბრებას უფრო ჰგავდა. ბევრმა ვერ გაუძლო, ტყუილად გაისარჯა და მწვრთნელიც გაწბილა და გუნდიც.

ნინოს სხვანაირი ხასიათი აღმოაჩნდა. მართალია, 17 წლის გოგონასათვის ის შეჯიბრება მეტისმეტად მკაცრი გამოცდა იყო, მაგრამ არ შემდრკალა, ღირსეულად დაამთავრა გამოსვლა, გააკეთა ის, რასაც მისგან ელოდნენ.

ნინო ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველკურსელია. ერთხანს ყოყმანობდა, არ იცოდა რომელ პროფესიაზე შეეჩერებინა არჩევანი, რადგან სხვა მისწრაფებაც აქვს, მაგრამ სპორტს ვერ უღალატა.

ნინო სალუქვაძე საქართველოს კომკავშირის XXXIII ყრილობის დელეგატად აირჩიეს. დელეგატთა შორის ალბათ ბევრი იქნება მისი მსგავსი — წინამძღოლობას რომ არ ჩემულობს, უხმოდ, ბეჯითად აკეთებს თავის საქმეს, აკეთებს სხვებზე ცოტა უკეთესად.

გუნდის კაპიტანი 71 წლისაა...

ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა სპარტაკიადა

როგორც ვიუწყებოდით, თბილისის სპორტულ ბაზებზე გრძელდება ამიერკავკასიის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა I სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია: მინიფეხბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა, ჭადრაკი, ცურვა და ტყვიის სროლა.

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში დამთავრდა წინასწარი შეხვედრები. დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში გავიდნენ თბილისის უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები გუნდები.

საინტერესოა, რომ თბილისის უნივერსიტეტის ნაკრებში გამოდის ფიზიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე გიორგი ასლანიდი, რომელიც 71 წლისაა, მაგრამ მისი ენერგიული თამაში ბევრ ახალგაზრდას შეშურდება.

— ეს სპარტაკიადა მეტად მისასალმებელი ღონისძიებაა, — გვეუბნება გიორგი ასლანიდი, — სასურველია, რომ ასეთმა შეჯიბრებებმა უფრო მასობრივი ხასიათი მიიღოს, რადგანაც იგი ხელს უწყობს პროფესორ-მასწავლებელთა დაახლოებას, მათ გაჯანსაღებას, ამასთან ასეთი ღონისძიებების ჩატარებით მეტ პროპაგანდას ვუწევთ სპორტს.

როცა ვკითხეთ, სპორტთან ურთიერთობაში ასაკი ხელს ხომ არ გიშლითო, მხნედ გვიპასუხა:

— პირიქით, ხალისს მმატებს. კვირაში ორჯერ ვვარჯიშობ, რის შემდეგაც მუშაობა უფრო ნაყოფიერი და ხალისიანი ხდება. გარდა ფრენბურთისა, სიამოვნებით ვთამაშობ კალათბურთს, ფეხბურთს, მაგრამ ფრენბურთი მაინც ყველაფერს მირჩევნია. მუდამ გამოვდივარ უნივერსიტეტის ნაკრებში. ყველას, ვინც კი ასაკოვანია, ვურჩევდი, რომ სპორტს მისდიოს. ის მათ გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს, შეუნარჩუნებს ახალგაზრდულ ენერგიას და ხალისს...

გუშინ ფინალურ შეხვედრაში თბილისის უნივერსიტეტის გუნდი სარბიელზე კვლავ მისმა კაპიტანმა — ბატონმა გიორგი ასლანიდიმ გამოიყვანა. გაიმარჯვეს უნივერსიტეტელებმა — 2:0. მესამე ადგილი სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

შეჯიბრება დაამთავრეს მოცურავეებმაც. აქ ყველას თბილისის უნივერსიტეტელებმა აჯობეს. მეორე იყო სომხეთის ფიზკულტურის ინსტიტუტი, ხოლო მესამე — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნაკრები.

ავთანდილ ქოქაშვილი,
თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.

ერევნის უნივერსიტეტისა და თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მოჭადრაკეთა შეხვედრა.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

კვლავ პრიზიორთა შორის

ნინო სალუქვაძემ კვლავ წარმატებას მიაღწია ქვეყნის უძლიერეს მსროლელებთან შეჯიბრებაში. ჩვენი სპორტსმენი ამჯერად არმიის ნაკრების შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის პირად-გუნდურ პირველობაში გამოდიოდა. შეჯიბრებას ლვოვის დახურულმა სასროლეთმა უმასპინძლა. თითოეულმა ორგანიზაციამ („დინამომ“, პროფკავშირებმა და არმიის ნაკრებმა) სამი გუნდი გამოიყვანა. პისტოლეტის მსროლელ არმიელ ქალთა პირველ გუნდში ნინოსთან ერთად ტატიანა ტურიშჩევა და ლოლიტა ცვეტკოვა გამოდიოდნენ. დებულების მიხედვით, ყველა გუნდში ორ გამოცდილ მსროლელთან ერთად ერთ ახალგაზრდასაც უნდა ეასპარეზა და ეს ერთი ადგილი სწორედ ნინომ დაიკავა.

უკვე შეჯიბრების დროს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ნინომ კვლავ დაამტკიცა, რომ შედეგებით არც ქვეყნის საუკეთესო მსროლელებს ჩამოუვარდება. მან მპ-10 ვარჯიშში (მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლა მრგვალ სამიზნეზე, 4-4 სერია დროის სხვადასხვა ინტერვალით 25 მეტრზე) მე-2 ადგილი დაიკავა — 571 ქულა. ამ დისციპლინაში მინსკელმა შილენოკმა გაიმარჯვა. ერთი ბრინჯაოს მედალი ნინომ მპ-5 (25 მ-ზე სროლა მრგვალ სამიზნესა და სილუეტზე) ვარჯიშში მოიპოვა — 588 და ქულა დააკლდა, რომ კიდევ ერთხელ ეჩვენებინა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი. პნევმატური პისტოლეტით სროლაში (პპ-2) ნინომ მე-4 ადგილი დაიკავა (479) — მხოლოდ ქულით ჩამორჩა შეჯიბრების ორ პრიზიორს.

თუ სპორტსმენთა მიერ ყველა დისციპლინაში ნაჩვენებ შედეგებს მივიღებთ მხედველობაში, ადვილი შესამჩნევია, რომ ქართველი მსროლელი სტაბილურობით აშკარად გამოირჩევა. ეს — მოზრდილ სპორტსმენებში, ახალგაზრდებს შორის კი ნინოს მეტოქეობას ვერავინ გაუწევს. თბილისელმა სპორტსმენმა ქვეყნის პირველობაში კიდევ სამი მედალი მოიპოვა (2 ოქროს და ერთი ვერცხლისა), ოღონდ — გუნდურ პირველობაში. ამრიგად, მან საკავშირო პირველობის 5 მედალი დაისაკუთრა.

თებერვლის ბოლოს ნინო ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოში იასპარეზებს, სადაც ტარდება ევროპის პირველობა პნევმატური იარაღით სროლაში.

თბილისში, ჟდანოვსა და ყაზანში...

დასასრული

ახლა თბილისელი არმიელები ჟდანოვში ასპარეზობენ. ისინი აქ შეხვდებიან ვოლგოგრადის „სპარტაკს“, მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდს, მინსკელ თანაკლუბელებსა და ერევნის უმაღლესი სპორტული დოსტატების რესპუბლიკური სკოლის წყალბურთელებს.

თბილისელები ვოლგოგრადელებს უკვე შეხვდნენ და დამარცხდნენ.

არანაკლებ ინტერესს იწვევს ჭაბუკთა რესპუბლიკური სპორტული თამაშების წყალბურთელთა ასპარეზობა, რომელიც თბილისში, ვაკის საცურაო აუზში დაიწყო. ამ შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს, აგრეთვე, 1969-70 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა რესპუბლიკური პირველობის პრიზიორებიც.

ეს ტურნირი იმითაც იქცევს ყურადღებას, რომ ჭაბუკთა საკავშირო სპორტული თამაშებისთვის მზადებას ითვალისწინებს, თანაც აქ მოასპარეზე გუნდებმა ხომ მალე თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა და არმიელთა კოლექტივებს უნდა მისცეს შევსება.

შეჯიბრებაში მონაწილეობს ბათუმის, სოხუმისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები, რუსთავის „ფოლადის“, ქუთაისის განათლების განყოფილების, თბილისის განათლების სამმართველოს წყალბურთელები. ასპარეზობაში უკონკურსოდ გამოდიან თბილისის „ბურევესტნიკისა“ და საქართველოს განათლების სამინისტროს კოლექტივები.

გუშინ სარბიელზე პირველები გამოვიდნენ „ფოლადისა“ და თბილისის „დინამოს“ წარმომადგენლები. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 15:9.

შეჯიბრება 15 თებერვლამდე გასტანს. შეხვედრები იწყება 10 და 18 საათზე, დღეს — 12 საათზე.

ბაკურიანში კი თოვლის ნაკლებობა იყო

ეს ასპარეზობა გუდაურში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ დიდთოვლიანობისა და უამინდობის გამო ბაკურიანში გადაიტანეს. აქ, თოვლის საუფლოში, ამჯერად ...სწორედ თოვლის ნაკლებობა იყო — ძლიერი ქარი უმოწყალოდ ფანტავდა მას.

სამოცამდე სპორტსმენი გამოვიდა კოხტა-I და II-ის ტრასებზე, სადაც რესპუბლიკის ჩემპიონატი და ჭაბუკთა პირველობა გაიმართა.

ვაჟთა შორის სამ სახეობაში — სპეციალურ სლალომში, სლალომგიგანტში და ე. წ. კომბინაციაში (სპეცსლალომი და სუპერგიგანტი), როგორც მოსალოდნელი იყო, წაღვერელმა სპორტის ოსტატმა, დინამოელმა გია ორჯონიკიძემ გაიმარჯვა, სუპერგიგანტის ტრასაზე კი ბაკურიანელი ოსტატობის კანდიდატი გელა კოზანაშვილი იყო უძლიერესი („დინამო“).

ქალთა ასპარეზობაში საუკეთესოდ გამოვიდნენ თბილისელები ეკატერინე ედიშერაშვილი (განათლების სამინისტრო) — სპეცსლალომი და ლეილა ზერაკიძე („სპარტაკი“) — კომბინაცია. სუპერგიგანტსა და გიგანტურ სლალომში (შესაბამისად) ყველას აჯობეს ბაკურიანელებმა მეგი პაპიკაშვილმა და სოფიო პეტროსიანმა (ორივე — „დინამო“).

პარალელურად გაიმართა ჭაბუკთა და გოგონათა პირველობა. ე. ედიშერაშვილის, ს. პეტროსიანის, ლ. ზერაკიძისა და გ. კოზანაშვილის გარდა იმარჯვეს პირველთანრიგოსანმა სპორტსმენებმა — თბილისელებმა თამარ მიქელაძემ და კონსტანტინე ქადაგიძემ (ორივე განათლების სამინისტრო), ბაკურიანელებმა ლეილა ოგანეზოვამ („დინამო“), აშოტ პაპიკიანმა („კოლმეურნე“), ლევან აბრამიშვილმა („დინამო“), ზურაბ ჯიჩოევმა („დინამო“), ლევან სტეპანიანმა („კოლმეურნე“), ავთანდილ ჯანგობეკოვმა („დინამო“). გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოზრდილთა, ისე მოზარდთა შორის, დინამოელებმა გაიმარჯვეს.

ახლა ჩვენი საუკეთესო სამთომოთხილამურეები მიეშგზავრებიან წაჩკაძორში, სადაც 9-15 თებერვალს გაიმართება სსრ კავშირის თასის ზონალური პირველობა საქართველოს, სომხეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის ნაკრები გუნდების მონაწილეობით (გამარჯვებულები საკავშირო თასის ფინალურ შეჯიბრებაში გამოლენ). რაც შეხება გ. ორჯონიკიძეს, იგი 10 თებერვალს ალმა-ათაში სსრ კავშირის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

აქვე გვინდა შემოგთავაზოთ სამთომოთხილამურეთა ზამთრის სპორტული სეზონის შეჯიბრებათა კალენდარი: **23-28 თებერვალი** (ბაკურიანი) — საქართველოს თასის გათამაშება, **5-10 მარტი** (ბაკურიანი) — ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება, **13-20 მარტი** (გუდაური) — საერთაშორისო შეჯიბრება „გუდაურის გაზაფხული“, **15-23 მარტი** (ბაკურიანი) — სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა და გოგონათა შორის, **16-20 აპრილი** (გუდაური) — ჭაბუკთა რესპუბლიკური შეჯიბრება „ოლიმპიელები ჩვენს შორის არიან“, **2-6 ივნისი** (მესტია) — ბორის კახიანის მემორიალი.

„ლელოს“ კორ.

ფელეტონი — ექიმისაგან



მსოფლიო ჩემპიონმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ასტრიდ შტრაუსმა (გდრ) მსოფლიო რეკორდი დაამყარა ბონში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში. სარეკორდო შედეგს — 8 წუთი და 15,34 წამი — სპორტსმენმა 25-მეტრიან აუზში მიაღწია. შტრაუსმა თავისი თანამემამულის პეტრა შნაიდერის ხუთი წლის წინ დამყარებული რეკორდი 1,98 წამით გაუუმჯობესა.

უიჩიტა (აშშ). გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი — „ვირჯინია სლიმსი“. საბჭოთა სპორტსმენმა ლ. სავჩენკომ დაამარცხა ძლიერი გერმანელი ჩოგბურთელი ს. ჰანიკე (გფრ) 6:3, 6:3 და ნახევარფინალში გავიდა. ჩვენი გუნდის მეორე წევრი ნ. ბიკოვა ფრანგ ე. დერლისთან დამარცხდა — 7:6, 3:6, 1:6. ტურნირის მესამე მონაწილემ ნ. ზვერევამ მუხლი დაიზიანა და სათამაშოდ ვერ გამოვიდა, მას ამერიკელ ს. უაიტთან წაგება ჩაეთვალა.

სარაევო. ფიგურისტთა ევროპის ჩემპიონატზე მოცეკვავეთა წყვილების ყველა მედალი საბჭოთა სპორტსმენებმა დაისაკუთრეს. ჩემპიონის ოქროს მედლები ნ. ბესტემიანოვა — ა. ბუკინს გადაეცათ. მეორე ადგილზე გავიდნენ მ. კლიმოვა და ს. პონომარენკო, მესამეზე — ნ. ანიჩენკო და გ. სრეტენსკი.

კაუნასი. აქ დაიწყო სსრ კავშირის 53-ე ჩემპიონატი კრივში, რომელშიც შარშანდელი პირველობის ყველა თორმეტივე ოქროს მედალოსანი გამოდის. სულ ასპარეზობაში მონაწილეობს მოსკოვის, ლენინგრადისა და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის 200-ზე მეტი მოკრივე. შეჯიბრება 15 თებერვალს დამთავრდება.

სტოკჰოლმი. ბურთიან ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა სპორტსმენები არ ითამაშებენ. ოქროს მედლებს შეეცილებიან ერთმანეთს. საბჭოთა კავშირის ნაკრები III ადგილისათვის ბრძოლაში ნორვეგიის გუნდს შეხვდება.

ოქროს ქალღმერთის აღსასრული

გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს თასის ისტორია საქვეყნოდ ცნობილია. იგი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონებისთვის დაწესა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ფრანგმა ჟიულ რიმემ, ცნობილმა იუველირმა ა. ლეფლერმა კი ბაჯაღლო ოქროსგან შექმნა ქალღმერთის შესანიშნავი გამოსახულება, ქალღმერთის ეს სტატუა დიდი ფეხბურთის ჰეშმარიტ სიმბოლოდ იქცა.

მაგრამ, ოქროს თასს, თურმე, კეთილი ბოლო არ ეწერა. ჯერ იყო და მსოფლიო ჩემპიონატის დებულებაში თავიდანვე შეიტანეს პუნქტი, რომ თუ კი რომელიმე გუნდი სამჯერ მოიპოვებდა მსოფლიო ჩემპიონობას, თუნდაც, სხვადასხვა პერიოდში, იგი სამუდამო მფლობელობაში ჩაიბარებდა ბაჯაღლო ოქროს ამ შესანიშნავ ნაკეთობას. გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს ქანდაკებას ისე შეეჩვია საფეხბურთო სამყარო, რომ მასთან განშორება წარმოუდგენლად მიგვაჩნდა. რა თქმა უნდა, ჯობდა იმთავითვე გონივრული განმარტება შეეტანათ დებულებაში: ვინც მსოფლიო ჩემპიონობას სამჯერ მოიგებდა, მას ეროვნულ საკუთრებად უნდა მიეღო თასის ზუსტი ასლი, თვით დედანი კი, ნაღდი ქანდაკება, მარადიული საფეხბურთო ჭეშმბობის ემბლემად დარჩენილიყო...

მაგრამ ასეთი კორექტივი დებულებაში არც თავიდან შეიტანეს, არც მერე, და როცა ბრაზილიის ნაკრებმა 1970 წელს მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, მან თავის ქვეყანაში წაიღო აბელ ლეფლერის საუცხოო ქმნილება.

რა შემოქმედებით იდეას დაეყრდნო ფრანგი იუველირი, ჟიულ რიმეს დაკვეთას რომ ასრულებდა მსოფლიო ჩემპიონატისთვის? საბერძნეთის უძველეს წმიდათაწმიდა ადგილას ოლიმპოზე ოდესღაც იდგა ღმერთთაღმერთ ზევსის ოქროსა და სპილოს ძვლისგან დამზადებული ვეება ქანდაკება, გამძერწილი გამოჩენილი ბერძენი მოქანდაკის ფიდიოსის მიერ. კვარცხლბეკზე მჯდომ ზევსს ცალ ხელთ მძიმე კვერთხი ეპყრა არწივის გამოსახულებით, მეორეში კი ქალღმერთ ნიკეს სტატუა. ნიკე გამოხატავდა ბრძოლის ველზე გამარჯვების ტროუმფს, აგრეთვე, მის ტოლფას გამარჯვებას სხვადასხვაგვარ მშვიდობიან შეჯიბრებებში. ძველბერძნებს ნიკე სიძლიერის, ენერგიის, უნარისა და დასახული მიზნისადმი სწრაფვის სიმბოლოდ მიაჩნდათ.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, დიდად ხიფათიანი და ფათერაკიანი აღმოჩნდა ოქროს ქალღმერთის ბედი. მეორე მსოფლიო ომის წინ, 1938 წელს, იტალიელმა ფეხბურთელებმა პარიზში ფინალური მატჩი მოუგეს უნგრელებს (4:2) და თავიანთ სამშობლოში წაიღეს ოქროს პრიზი. იგი იტალიის საფეხბურთო ფედერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელის დოქტორ ოტორინო ბარასის ბინაში ინახებოდა. ო. ბარასიმ ეს უძვირფასესი ნივთი გაცვეთილ ჩექმაში ჩამალა და სადღაც საწოლის ქვეშ მიაგდო. როცა ფაშისტები მის ბინას ჩხრეკდნენ, აზრადაც არ მოსვლიათ ძველი ჩექმისთვის მიექციათ ყურადღება, იქ კი წმინდა ოქროს ზოდი იყო ჩამალული. მაშინ იგი სასწაულებრივ გადარჩა!

ლონდონის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, 1966 წლის 20 მარტს, ფრთხილანი ნიკე გამოფენილი იყო ლონდონის ვესტმინსტერის სასახლის ცენტრალურ ჰოლში, უნიკალური საფოსტო მარკების ექსპოზიციის გვერდით. გამოფენას პოლიციელთა გაძლიერებული რაზმი ყარაულობდა, მაგრამ მძარცველებმა მოახერხეს და გაიტაცეს ოქროს თასი, თუმცა, როგორც მაშინ წერდნენ, ქურდებს ერჩიათ მარკების კოლექცია მოეპარათ, რომელიც გაცილებით უფრო ძვირი ღირდა — 3 მილიონზე მეტი გირვანქა სტერლინგი.

ინგლისის მთელი დეტექტური სამყარო, სკოტლანდ-იარდი ფეხზე დადგა, მაგრამ ჟიულ რიმეს თასი არსად ჩანდა. იმედი თითქმის ყველას გადაეწურა, როცა, სავსებით მოულოდნელად, ახალგაზრდა ლონდონელმა მუშამ დევიდ კორბეტმა ბაღში სეირნობისას ბუჩქებში აღმოაჩინა ქაღალდში გახვეული ნივთი. დ. კორბეტის ძაღლმა პიკლზმა იყნოსა, გადაქექა ქაღალდი და მიაგნო იმას, რასაც ასე გამალებით ეძებდნენ...

მაგრამ კიდევ უფრო მძიმე ხვედრი ელოდა ოქროს ნიკეს მას შემდეგ, რაც ბრაზილიელებმა მესამედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა და შინ ჩაიტანეს ქანდაკება. იგი ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ბინაზე ინახებოდა საგანგებოდ გაკეთებულ სეიფში. ეს სეიფი საგანგებო პროექტით დაამზადეს, მაგრამ სეიფის ტყვიაგაუმტარი მინა ხის ჩარჩოში იყო ჩასმული, ქურდებმა სწორედ ამით ისარგებლეს და გაიტაცეს ძვირფასი ნივთი.

გაიტაცეს სამუდამოდ! ეს მოხდა 1983 წლის დეკემბერში. ჟიულ რიმეს თასს ვეღარავინ მიაგნო, ბორტმოქმედებმა იგი ოქროდ გადაადნეს და გაყიდეს.

შემდგომში მძარცველები შეიპყრეს, ძიება საკმაო ხანს გაგრძელდა. რიო-დე-ჟანეიროში შედგა „საუკუნის ბორტმოქმედების“ მონაწილეთა სასამართლო პროცესი. მძარცველებმა — ანტონიო პუგლიესმა და ხუან კარლოს ერნანდესმა ჩადენილი დანაშაულისთვის 10-10 წლის პატიმრობა დაიმსახურეს.

ლუისის გეგმები

ოსიხეზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კარლ ლუისმა გადწყვიტა წლიულს საერთოდ არ გამოვიდეს სახტომ სექტორში და მთელი უურადღება სპრინტს დაუთმოს.

ლუისმა ყველას აჯობა ინდიანაპოლისში გამართულ შეჯიბრებაში, რომელიც სწორედ იმ დარბაზში ჩატარდა, სადაც 6-8 მარტს მძლეოსანთა პირველი ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. მას ძალიან მოეწონა დარბაზის სარბენი ბილიკი, რომელიც იტალიელმა სპეციალისტებმა დააგეს.

ლუისმა სექტემბერში მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ინდიანაპოლისში გამარჯვებამ სპორტსმენსა და მის მწვრთნელებს უფრო განუმტკიცა აზრი, რომ საჭირო იყო აღარ ეფიქრათ სიგრძეზე ხტომაში წარმატებისთვის და ბედი მხოლოდ რბენაში ეცადათ თვით მეორე მსოფლიო ჩემპიონატშიც კი, რომელიც აგვისტოს მიწურულს დაიწყება რომში.

როგორც ლუისის მწვრთნელმა ჯო დუგლასმა განუცხადა ჟურნალისტებს, მისი მოწაფე სამ დისტანციაზე გამოვა: 100 და 200 მეტრზე რბენაში და 4X100 მეტრზე ამანთრბენში — რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ლუისი ამერიკის შეერთებული შტატების გუნდში მოხვდება. მწვრთნელის თქმით, აგვისტოს ბოლოს ლუისი ისევე კარგ სპორტულ ფორმაში იქნება, როგორც ჰელსინკში, მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის დროს (1983 წ.).

— ნატკენი ფეხი — განაგრძო მწვრთნელმა, — ლუისს მხოლოდ ცივ ამინდში აწუხებს, სიგრძეზე ხტომაში გამოსვლაზე სწორედ ამ მიზეზის გამო ამბობს უარს, რადგან ტრავმის საფრთხე ამ სახეობაში უფრო მეტია, ვიდრე სირბილში. ამავე მიზეზით ევროპაში დაგეგმილი ტურნეს დროს ამერიკელი მძლეოსანი მხოლოდ ერთორ შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას.

დღეს სიეტლში...

გაიმართება ტრადიციული 37-ე შეხვედრა კალათბურთის ეროვნული ასოციაციის აღმოსავლეთის და დასავლეთის ვარსკვლავთა ნაკრებებს („ოლ-სტარზს“) შორის. სასტარტო ხუთეულებში ჟურნალისტებმა დაასახელეს შემდეგი მოთამაშეები: აღმოსავლეთის ნაკრები — მოზეს მელოუნი („ვაშინგტონი“), ლერი ბერდი („ბოსტონ სელტიქსი“), დომინიკ უილკინსი („ატლანტა ჰოუქსი“), მაიკ ჯორდანი („ჩიკაგო ბულსი“), ჯულიუს ირვინგი („ფილადელფია-76“), დასავლეთის ნაკრები — აკიმ ოლაჯუონი („ჰიუსტონ როკეტსი“), რალფ სამპსონი („ჰიუსტონ როკეტსი“), ჯეიმს უორთლეი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“), ფერვინ-მაჯიკ ჯონსონი („ლოს-ანჯელეს. ლეიკერსი“), ალვინ რობერტსონი („სანტ-ანტონიო“).

ციხფერ ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 8 თებერვალი. დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1)**; „სპორტლოტოს“ ტირაჟი— **10.15**; ევროპის ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში (გადმოცემა იუგოსლავიიდან) — **15.45 (1)** და **20.15 (1)**; მსოფლიო ჩემპიონატი ბურთიან ჰოკეში (გადმოცემა შვეციიდან) — **17.40 (2)** და **19.00 (2)**.

საქართველოს ტელევიზია. 8 თებერვალი. მსოფლიოს მე-13 ჩემპიონატი ფეხბურთში: საფრანგეთი — გფრ — **12.35**; სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ცსკა — **19.30**.

„ოქროს გურთის“ ლაურეატები

№14 იოჰან კრუიფი

იგი დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს, ამსტერდამის ღარიბ რაიონ ბეტონდორფში. მამა ადრე გარდაეცვალა და დაობლებულ შვილებს დედა ზრდიდა. ობოლი ბიჭი, რომელსაც იოჰანი ერქვა, ადრიდანვე მიეჩვია გაჭირვებას, შრომას ლუკმაპურის საშოვნელად. გამოიმუშავა ძლიერი ნებისყოფა. გავიდა წლები, იოჰანი დავაჟკაცდა, იგი გამხდარი, მაღალი, სიმპათიური, ერთი სიტყვით, სასიამონო გარეგნობის ყმაწვილი იყო, თავის საქმეში კი ბევრად გამოცდილ კოლეგებს შორისაც არ მოეპოვებოდა ბადალი. ერთ მშვენიერ დღეს მან გაიცნო მდიდარი, ოქროსთმიანი მზეთუნახავი. მათ პირველი დანახვისთანავე შეუყვარდათ ერთმანეთი და სამუდამო ერთგულება შეპფიცეს. ღმერთმა ბედნიერ წყვილს სამი შვილი აჩუქა და ახლა იოჰანის ოჯახში ბავშვების ჟივილ-ხივილისა და სიყვარულის სითბოს დაუსადგურებია.

ამ ამბავს წინ იმიტომ არ უძღვის ზღაპრებისთვის ტრადიციული „იყო და არა იყო რა...“, რომ ზღაპართან არავითარი კავშირი არა აქვს — ყველაფერი სინამდვილეა. დიახ, ასე აეწყო განუმორებელი ჰოლანდიელი ფეხბურთელის, „ოქროს ბურთის“ სამგზის ლაურეატის (1971, 1973 და 1974 წლები) იოჰან კრუიფის ცხოვრება. თუმცა, ნაამბობში ერთი რამ გამოვტოვეთ. კრუიფის პირველი ნაბიჯები ფეხბურთში, მაგრამ ეს შეგნებულად გავაკეთეთ, რადგან იოჰანისა და მისი მომავალი მეუღლის დანის ურთიერთობაში სპორტს მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშია. მდიდარი ამსტერდამელი იუველირის, თავისი მომავალი პირადი მენეჯერის კორ კოსტურის ქერათმიანი ასული კრუიფმა 1967 წელს გაიცნო ერთ-ერთ დისკოთეკაში. დანის კარგა ხანს არც სცოდნია, რომ მისი ახალი მეგობარი სწორედ ის ადამიანია, რომლის შესახებაც მთელი ქვეყანა ლაპარაკობს — იმ დროისათვის 20 წლის იოჰანი აღიარებულ ოსტატად და ჰოლანდიური ფეხბურთის დიდ იმედად ითვლებოდა.

ამსტერდამის „აიაქსში“ კრუიფი ათი წლისა ჩაირიცხა. კლუბის ძირითადი გუნდის შემადგენლობაში ჰოლანდიის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში პირველად თექვსმეტი წლისამ მიიღო მონაწილეობა. მაშინ, დებიუტანტი მინდორზე № 14 მაისურით გამოვიდა და შემდეგ მუდამ ამ ნომრით თამაშობდა როგორც „აიაქსში“, ისე ჰოლანდიის ნაკრებში. ეროვნულ გუნდში კრუიფის დებიუტი შედგა 1966 წლის 7 სექტემბერს როტერდამში, უნგრეთის ნაკრებთან შეხვედრაში (2:2), ორი თვის შემდეგ იგი მეორედ გამოვიდა მინდორზე ჰოლანდიის ნაკრების აგურისფერი მაისურით — ამჯერად თავის მშობლიურ ქალაქ ამსტერდამში, სადაც მასპინძლები ჩეხოსლოვაკიელებს ხვდებოდნენ. ამ მატჩში ცნობილმა მსაჯმა გლიოკნერმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) კრუიფი უხეშობისთვის მინდვრიდან გააძევა. ამას მოჰყვა ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციის სასჯელი, რის შემდეგაც იოჰანი ეროვნული გუნდის შემადგენლობაში მხოლოდ 1967 წლის 13 სექტემბერს დაბრუნდა. ჰოლანდიელები გდრ-ის ნაკრებს ხვდებოდნენ. ამ მატჩში ბურთი ერთხელ აღმოჩნდა კარის ბადეში. ეს ერთადერთი გოლი ეკუთვნოდა კრუიფს, რომელმაც გამარჯვება მოუტანა თავისიანებს და ამით გლიოკნერს თითქოს სამაგიერო გადაუხადაო. 1971 წლის 1 დეკემბერს კრუიფმა, როგორც კაპიტანმა, პირველად გამოიყვანა ჰოლანდიის ნაკრები შოტლანდიელებთან სათამაშოდ და ამის შემდეგ ეროვნული გუნდის კაპიტნის სამკლაური აღარ მოუხსნია.

ქართველი გულშემატკივრებისთვის კრუიფის თამაში ძირითადად 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებით არის ცნობილი. ის ჩემპიონატი იოჰანმა მართლაც ბრწყინვალედ ჩაატარა და დამსახურებულად მიიღო ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის დაწესებული სპეციალური პრიზი... თუმცა კრუიფის შესახებ ყველაფრის მოყოლა, ისიც ერთ პატარა საგაზეთო წერილში, შეუძლებელია. ამ გენიალური ფეხბურთელის შესახებ დაიწერა არაერთი წიგნი, გადაიღეს არაერთი ფილმი, მისმა თაყვანისმცემლებმა თითქმის ყველაფერი იციან თავიანთი კერპისა. მიუხედავად ამისა, იოჰან კრუიფზე, რომელიც, ვფიქრობ, ყველა დროის უძლიერესი ევროპელი ფეხბურთელია და, თუ მსოფლიოში ვინმეს ჩამოუვარდება, მხოლოდ „ფეხბურთის მეფეს“ პელეს, დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი. იგი დღესაც ისევე იმსახურებს ყურადღებას, როგორც 70-იან წლებში, რადგან, როგორც პარიზის „ეკიპი“ წერდა, კრუიფი ჭეშმარიტად 21-ე საუკუნის ფეხბურთელი იყო!

იოჰან კრუიფმა, რომელმაც პირველმა დაისაკუთრა „ოქროს ბურთი“ სამჯერ და აქედან ორჯერ ზედიზედ, ჰოლანდიის ნაკრებში სულ 48 მატჩი ჩაატარა და 34 გოლი გაიტანა (1966-1977 წლები). თამაშობდა ამსტერდამის „აიაქსში“ (1964-1973), ესპანეთის „ბარსელონაში“ (1973-1978), შემდეგ გამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატების პროფესიულ კლუბებში „ლოს-ანჯელეს აცტეკსა“ (1979) და „ვაშინგტონ დიპლომატსში“ (1980-1981), რამდენიმე თვის განმავლობაში იცავდა ესპანეთის მეორე ლიგის წარმომადგენელ „ლევანტეს“ ღირსებას, 1981 წლის შემოდგომაზე კი თავის მშობლიურ კლუბს დაუბრუნდა. 34 წლის ვეტერანის დაბრუნებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. კრუიფი „აიაქსს“ ჰოლანდიის ჩემპიონის ოქროს მედლების მოპოვებაში დაეხმარა, შემდეგ როტერდამის „ფეიენორდში“ გადავიდა და ამ კლუბმა „დუბლი“ გააკეთა (მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობაც და თასიც). ამ მორიგი გამარჯვების შემდეგ კრუიფი კვლავ ამსტერდამში დაბრუნდა და თავისი მშობლიური კლუბის მწვრთნელად დაიწყო მუშაობა.

ახლა კრუიფების ოჯახი ამსტერდამიდან 20 კილომეტრის დაშორებით, ვინხენვეენში ცხოვრობს. იოჰანსა და დანის ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი ჰყავთ. ასე რომ, გამორიცხული არ არის, რამდენიმე წლის შემდეგ კრუიფის გვარი კვლავ გამოჩნდეს ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელთა სიაში.

ზურაბ ფოცხვერია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06761